



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ ხატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
წევრები:

- ა) ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- ბ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).
- გ) მანანა ვარდოსანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) კახაბერ ჩაკვეტაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) მაია დოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ხათუნა ნანობაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) მაია მენაბდე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	227752777

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გურჯაანი, სოფელი კარდენახი
ფაქტობრივი მისამართი	გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კარდენახი, ი. ნონეშვილის ქ. N189
საფოსტო ინდექსი	1500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1237?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kardenakhi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	დირექტორის მობ: 577944720

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ MES 8 24 0000627714 06/06/2024
--	--

	"ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 06 ივნისის №627714 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე MES 9 24 0000729226 24/06/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 16 და 17 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კარდენახი, ი. ნონეშვილის ქ. N 189 1შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კარდენახი, ი. ნონეშვილის ქ. N 189 1შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კარდენახი, ი. ნონეშვილის ქ. N 189 1შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის შენობა არის ახალი რეაბილიტირებული, სუფთა და ნათელი საკლასო ოთახებით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო და ღია სპორტული მოედანი. სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტის დროს არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.

სკოლაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი გარემო და მაღალი ორგანიზაციული კულტურა, რაც გამოიხატებოდა ვიზიტის დროს თანამშრომლების დამოკიდებულებასა და ურთიერთმხარდაჭერაში. მიუხედავად საშვებულებო პერიოდისა, სკოლაში დაგეგმვდა თითქმის ყველა მასწავლებელი და პერსონალი. სკოლის მასწავლებლები დირექციასთან ერთად ზრუნავდნენ როგორც სასკოლო გარემოს ჰიგიენასა და უსაფრთხოებაზე, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე. სკოლას ჰყავს მოტივირებული გუნდი, რომლის წევრებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები სკოლის ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში. ეს თვალსაჩინო იყო მათ მიერ მომზადებული დოკუმენტაციით და ასევე, ადგილზე უშუალო კომუნიკაციის პროცესში. სკოლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, რომ ვიზიტი წარმართულიყო მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში.

ექსპერტთა ჯგუფი სკოლაში ვიზიტისას გაესაუბრა სკოლის ადმინისტრაციას, მათი მხრიდან იყო სრული მზაობა თითოეული სტანდარტის შესაბამისად დასმულ შეკითხვაზე მყისიერად წარმოედგინათ შესაბამისი მტკიცებულება. ჩატარდა გასაუბრება ბიბლიოთეკართან, სკოლის ექიმთან, სპეციალურ პედაგოგებთან, საქმისმწარმოებელთან. კათედრის ხელმძღვანელებთან და პედაგოგებთან კი ჩატარდა საგნობრივი ექსპერტების ონლაინ შეხვედრები.

ცალკე ჩატარდა ონლაინ შეხვედრა დაწყებითების კათედრის პედაგოგებთან, შეხვედრაში საგნობრივ ექსპერტებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული დაწყებითი კლასების ექსპერტი. მის მიერ მოხდა დაწყებითი კლასების კურიკულუმის რევიზია და საგნობრივ ექსპერტებთან თანამშრომლობით შემოგვთავაზა დაწყებითი კლასების კურიკულუმის რევიზიის მიმოხილვა. კერძოდ, მის მიერ წარმოდგენილ განხორციელებული საქმიანობის მოკლე მიმოხილვაში ვკითხულობთ:

„გავეცანი სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციას – I-IV კლასის ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმებს. საჭიროებისამებრ, გავგზავნე დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის ფორმა. დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუების პროცესში, ჩემ მიერ დასმული, დამაზუსტებელი კითხვების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, როგორ უნდა განახორციელონ შუალედური სასწავლო მიზნები, თუმცა, სასურველია, გაითვალისწინონ გარკვეული რჩევები. ვმონაწილეობდი ავტორიზაციის ჯგუფის ყველა შეხვედრაში.

საგნობრივ ექსპერტებთან მქონდა კომუნიკაცია, როგორც სატელეფონო, ასევე, ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ერთდროულად წარვმართეთ ინტერვიუებისა და დასკვნების შეჯერების პროცესი, ვიმოქმედეთ შეთანხმებულად. მივეცი რჩევები.

გავეცანი ვიზიტის პროცესში გადმოგზავნილ დოკუმენტებს და ვიზიტის დასრულების შემდეგ საგნობრივი ექსპერტების მიერ შევსებულ შეფასების ფორმებს.

დაწყებითი კლასების სპეციფიკიდან გამომდინარე ვაწარმოე მათი რევიზია.

ჩემ მიერ გაცემული რჩევები აისახა საგნობრივი ექსპერტების დასკვნებში.

სახელმწიფო ენა – სასურველია:

კურიკულუმები შეძლებისდაგვარად შეივსოს რესურსებით. ყველა თემაში აისახოს სამიზნე ცნებები.

მათემატიკა – სასურველია:

აწარმოონ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით.

ბუნებისმეტყველება – სასურველია:

კურიკულუმებში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, თემებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება შეძლებისდაგვარად, სრულყოფილად შეივსოს რესურსებით.

მე და საზოგადოება – სასურველია:

შეძლებისდაგვარად, რესურსებით შეივსოს კურიკულუმები.

სამიზნე ცნებები აისახოს ყველა თემაში.

აწარმოონ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. „

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
	391	450



VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის საუკეთესო და განსხვავებულ გამოცდილებად შეიძლება მივიჩნიოთ სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. მაგალითად, სკოლა ახორციელებს ერთობლივ პროექტს თემ „ქედელთან“. ეწყობა გასვლითი ღონისძიებები, სადაც თემი ქედელის ბენეფიციარებთან ერთად მოსწავლეები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, დებატკლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, მოსწავლეები ჩართულნი არიან კლასგარეშე აქტივობებში. ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, სასკოლო-შემეცნებითი ექსკურსიების მოწყობა, ლაშქრობები, გუნდური და თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნევს უცხო ენების სწავლების ხელშეწყობასაც, რადგან სკოლაში არის შესაძლებლობა მოსწავლეებმა აირჩიონ რამდენიმე უცხო ენა.

აღსანიშნავია სკოლის ფართო ხედვა და პროფესიული პროგრამის ინტეგრირებაზე მიმართული პროექტი: „პროფესიული განათლება -ახალი შესაძლებლობა“, რომელიც განხორციელდება ახალი სასწავლო წლიდან.



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ----- 450 -----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლამ 2025 წლის 26 მარტისთვის უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; <i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბუნებისმეტყველება) დაწყებითი საფეხური</i>	<i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ შემუშავებულ კურიკულუმებში საგნობრივ კათედრებზე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა) გამოიკვეთოს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელი ყველა სამიზნე ცნება. ასევე, ყოველ თემასთან მიმართებით შესაბამისად გაიწეროს დასამუშავებელი საკითხი/საკითხები.</i>
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; <i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბუნებისმეტყველება) დაწყებითი საფეხური</i>	<i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საგნობრივი საკითხების დამუშავების პროცესში, ყველა საგანში იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.</i>
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	<i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მოხდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო რესურსებით სასწავლო პროცესის სრულფასოვნად ჩატარებისთვის.</i>



	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; <i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბუნებისმეტყველება) დაწყებითი საფეხური</i>	
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; <i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბუნებისმეტყველება) დაწყებითი საფეხური</i>	<i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საგნობრივი საკითხების დამუშავების პროცესში, ყველა საგანში იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.</i>
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; <i>ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) დაწყებითი საფეხური</i>	<i>ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აისახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ:</i> <i>1.-თემატური ერთეულები მოექცეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკის სახელწოდების ქვეშ (საგანი-სახვ. და გამოყენებითი ხელოვნება);</i> <i>2.-კურიკულუმის დოკუმენტში სრულად აისახოს სამივე თემატური ბლოკი (საგანი-სახვ. და გამოყენებითი ხელოვნება);</i> <i>3.- კურიკულუმის დოკუმენტში სტანდარტიზირებულად და სტატიტუკარად ჩამოყალიბდეს შემადგენელი კომპონენტის,/ების დასახელება, მაგალითად: „ძირითადი რესურს-მაგალითი” ან „ძირითადი ქეისი“ (საგანი-მუსიკა);</i> <i>4.- „სასწავლო რესურსების“ კომპონენტში აღიწეროს სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე რესურსის კონკრეტული</i>



		ჩამონათვალი/დასახელება(მაგ. აუდიო მასალის ლინკი, ვიდეო ფაილის ლინკი , ბეჭდური მასალის სახელწოდება და ა.შ.);
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; <i>ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) დაწყებითი საფეხური</i>	<i>ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივ კურიკულუმებში(ზოგიერთ მათგანში) თავიდან გადაიხედოს შუალედური დავალების პირობის შინაარსი და განისაზღვროს რამდენად არის კომპლექსური ბუნების ესა თუ ის დავალება და რამდენად იძლევა შეძენილი ცოდნის ტრანსფერს დავალების პირობის თანახმად შესასრულებელ შემოქმედებით პროდუქტში(საგნები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა);</i>
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; <i>ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) დაწყებითი საფეხური</i>	<i>ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი სტანდარტით დადგენილი და საგნის სპეციფიკით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს შეფასებისას(განმსაზღვრელი, განმავითარებელი):</i> <i>1.-მკაფიოდ გამოიკვეთოს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე დამიზნებული კრიტერიუმები და მოსწავლისთვის გასაგებად ჩამოყალიბდეს კრიტერიუმის/ების შინაარსი(რა უნდა შეძლოს/წარმოაჩინოს მოსწავლემ კონკრეტულ ნამუშევარში ან ნამუშევარზე მსჯელობის დროს);</i> <i>2.-გადაიხედოს წონადი(შემაჯამებელი) დავალების ფორმის, კონტენტისა და შეფასების კრიტერიუმების კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან, საგნის სტანდარტთან და სასკოლო კურიკულუმში გაცხადებულ მიზნებთან(საგანი: მუსიკა; კლასი: VI; შემაჯამებელი დავალების ნიმუში);</i>



ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; <i>მათემატიკა დაწყებითი საფეხური</i>	<i>მათემატიკის ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია ყოველ კომპლექსურ დავალებას თან ახლდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც კონკრეტულად ამ დავალებაზე იქნება მორგებული</i>
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; <i>საზოგადოებრივი მეცნიერებები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) დაწყებითი საფეხური</i>	<i>საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია მასწავლებლებმა მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებები და თავისებურებები, ასევე მოსწავლეებმა შესაძლებლობების ფარგლებში თვითონ შექმნან რესურსები.</i>
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; <i>საზოგადოებრივი მეცნიერებები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) დაწყებითი საფეხური</i>	<i>საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: რომ შეფასების რუბრიკები უფრო მეტად მოერგოს სასწავლო თემებს და გათვალისწინებულ იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები.</i>
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის	<i>ფიზიკური აღზრისა და სპორტის ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ წარმოადგენილი ინვენტარის გარდა, სკოლამ სასურველია შეიძინოს</i>



	საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; <i>ფიზიკური აღზრდა და სპორტი დაწყებითი საფეხური</i>	<i>უფრო მეტი ინვენტარი, რათა ბავშვები მაქსიმალურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში და ერთმანეთის ლოდინში დრო არ დაიკარგოს.</i>
<i>ინდიკატორი 2.1.2.5</i>	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; <i>ფიზიკური აღზრდა და სპორტი დაწყებითი საფეხური</i>	<i>ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტის მხრიდან პედაგოგს მიერჩა რჩევა, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.</i>
<i>ინდიკატორი 2.1.2.1</i>	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; <i>უცხოური ენა (ინგლისური, რუსული, გერმანული) დაწყებითი საფეხური</i>	<i>უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია; სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ს. კარდენახის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირ ფორმატზე.</i>
<i>ინდიკატორი 2.1.2.1</i> <i>ინდიკატორი 2.1.2.2</i>	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	<i>უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია უცხოური ენების კათედრამ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების შესაბამისი შუალედური მიზნები (პირობა - პროდუქტი, საგნობრივი საკითხი) ცალკე ფაილად გაამზადოს და წინასწარ</i>



	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; <i>უცხოური ენა (ინგლისური, რუსული, გერმანული) დაწყებითი საფეხური</i>	წარუდგინოს მოსწავლეებს ბარათის სახით, ასევე; დაურთოს კურიკულუმის პაკეტს უცხოურ ენებში.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს; <i>უცხოური ენა (ინგლისური, რუსული, გერმანული) დაწყებითი საფეხური</i>	<i>უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან</i> სკოლას მიეცა რჩევა: კათედრამ წარმოადგინა მე-5 კლასის ისგ, რომელშიც გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონეა აღწერილი, სასურველია; სსსმ მოსწავლისათვის მისაწოდებელი კომპლექსური ბუნების დავალებებიც ახლდეს კურიკულუმს უცხოურ ენებში.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; <i>ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საბაზო საფეხური</i>	<i>ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან</i> სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აიასახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ: 1.-თემატური ერთეულები მოექცეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკის სახელწოდების ქვეშ; 2.-კურიკულუმის დოკუმენტში სრულად აისახოს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამივე თემატური ბლოკი; 3.- „კონტექსტ მაგალითის“ კომპონენტში აღიწეროს თემის ფარგლებში შესასწავლ საკითხზე/ებზე ფოკუსირებული შესაბამისი შინაარსი; 4.- „სასწავლო რესურსების“ კომპონენტში აღიწეროს სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე რესურსის კონკრეტული ჩამონათვალი/დასახელება(მაგ. აუდიო მასალის ლინკი, ვიდეო ფაილის ლინკი , ბეჭდური მასალის სახელწოდება და ა.შ.);
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	<i>ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან</i> სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი სტანდარტით დადგენილი და საგნის სპეციფიკით



	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; <i>ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საბაზო საფეხური</i>	გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს შეფასებისას (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) მკაფიოდ გამოიკვეთოს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე დამიზნებული კრიტერიუმები და მოსწავლისთვის გასაგებად ჩამოყალიბდეს კრიტერიუმის/ების შინაარსი (რა უნდა შეძლოს/წარმოაჩინოს მოსწავლემ კონკრეტულ ნამუშევარში ან ნამუშევარზე მსჯელობის დროს);
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; <i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საბაზო საფეხური</i>	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ, შემუშავებულ კურიკულუმებში საგნობრივ კათედრებზე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა) გამოიკვეთოს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელი ყველა სამიზნე ცნება. ასევე, ყოველ თემასთან მიმართებით შესაბამისად გაიწეროს დასამუშავებელი საკითხი/საკითხები.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; <i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საბაზო საფეხური</i>	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საგნობრივი საკითხების დამუშავების პროცესში, ყველა საგანში იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.



ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საბაზო საფეხური	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მოხდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო რესურსებით სასწავლო პროცესის სრულფასოვნად ჩატარებისთვის.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საბაზო საფეხური	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საგნობრივი საკითხების დამუშავების პროცესში, ყველა საგანში იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენის დროს მნიშვნელოვანია დაზუსტდეს კრიტერიუმებთან ქულების რაოდენობრივი შესაბამისობა.



	(ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საბაზო საფეხური	
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მათემატიკა საბაზო საფეხური	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია ყოველ კომპლექსურ დავალებას თან ახლდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც კონკრეტულად ამ დავალებაზე იქნება მორგებული
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საბაზო საფეხური	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგან „მოქალაქეობაში“/“ისტორიაში“/“გეოგრაფიაში“ ყველა კლასში საგნობრივი კურიკულუმი სასწავლო წლის დაწყებამდე სრულყოფილად იყოს შეესებული.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საბაზო საფეხური	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ უმჯობესი იქნება თუ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კათედრის მიერ განხორციელებული, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური აქტივობები უფრო დეტალურად იყოს გაწერილი, ასახული საგნობრივ კურიკულუმში.



ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საბაზო საფეხური	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია მასწავლებლებმა მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებები და თავისებურებები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საბაზო საფეხური	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ შეფასების რუბრიკები უფრო მეტად მოერგოს სასწავლო თემებს და გათვალისწინებულ იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; ფიზიკური აღზრდა და სპორტი საბაზო საფეხური	ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ წარმოადგენილი ინვენტარის გარდა, სკოლამ სასურველია შეიძინოს უფრო მეტი ინვენტარი, რათა ბავშვები მაქსიმალურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში და ერთმანეთის ლოდინში დრო არ დაიკარგოს.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; ფიზიკური აღზრდა და სპორტი საბაზო საფეხური	ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან პედაგოგს მიეცა რჩევა, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; უცხოური ენა (ინგლისური, რუსული, გერმანული) საბაზო საფეხური	უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: უცხოური ენის კათედრამ გააზიარა აქტივობები გერმანულის მაგალითზე, თუმცა სასურველია: კურიკულუმებს ახლდეს მატრიცები ან აქტივობების ამსახველი მასალა, როგორც ეს N1 ოქმში აქვს კათედრას გაწერილი.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს; უცხოური ენა (ინგლისური, რუსული, გერმანული) საბაზო საფეხური	უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია; კათედრის მიერ წარმოდგენილ მე-7 კლასის ისგ-ში სსსმ მოსწავლისათვის მისაწოდებელი კომპლექსური ბუნების დავალების პირობაც იყოს გაზიარებული, მასწავლებლის მოლოდინებთან ერთად და განმავითარებელ შეფასებასთან ერთად.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი სტანდარტით დადგენილი და სავალდებულო პროექტებით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს შეფასებისას(განმსაზღვრელი, განმავითარებელი) მკაფიოდ გამოიკვეთოს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე დამოზნებული კრიტერიუმები და მოსწავლისთვის გასაგებად ჩამოყალიბდეს კრიტერიუმის/ების შინაარსი(რა უნდა შეძლოს/წარმოაჩინოს მოსწავლემ კონკრეტულ ნამუშევარში ან ნამუშევარზე მსჯელობის დროს);



	<i>(მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საშუალო საფეხური</i>	
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; <i>მათემატიკა საშუალო საფეხური</i>	<i>მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, რომ ყოველ ცნებას ქონდეს ქვეცნება. სამი სამიზნე ცნება გვაქვს მათემატიკაში, რომელთაც გააჩნიათ ქვეცნებები.</i>
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; <i>მათემატიკა საშუალო საფეხური</i>	<i>მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია ყოველ კომპლექსურ დავალებას თან ახლდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც კონკრეტულად ამ დავალებაზე იქნება მორგებული.</i>
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; <i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საშუალო საფეხური</i>	<i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში ყველა კლასტერის შესაბამისად გამოიკვეთოს და გაიწეროს მაგალითები შედარებისათვის, რადგან, ეს უკანასკნელი ხელს უწყობს მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების უნარის (ასევე, სხვა უნარების) განვითარებას.</i>
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	<i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ, შემუშავებულ კურიკულუმებში საგნობრივ კათედრებზე(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა) გამოიკვეთოს</i>



ინდიკატორი 2.1.2.2	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საშუალო საფეხური	ყველა სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელი ყველა სამიზნე ცნება. ასევე, ყოველ თემასთან მიმართებით შესაბამისად გაიწეროს დასამუშავებელი საკითხი/საკითხები.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საშუალო საფეხური	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საგნობრივი საკითხების დამუშავების პროცესში, ყველა საგანში იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საშუალო საფეხური	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მოხდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო რესურსებით სასწავლო პროცესის სრულფასოვნად ჩატარებისთვის.



ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საშუალო საფეხური	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საგნობრივი საკითხების დამუშავების პროცესში, ყველა საგანში იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საშუალო საფეხური	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენის დროს მნიშვნელოვანია დაზუსტდეს კრიტერიუმებთან ქვლების რაოდენობრივი შესაბამისობა.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ კურიკულუმების შემუშავების დროს ყურადღება გაამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე: ა) ისტორიის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს ყურადღება გაამახვილდეს კომპლექსური დავალების იდეაზე, მოხდეს გამრავალფეროვნება პროდუქტის, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ; ბ) გეოგრაფიის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს კომპლექსური დავალებების იდეა, ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის იქნას სრულყოფილად წარმოდგენილი;



	საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, პროექტული სწავლება საგან „მოქალაქეობაში“) საშუალო საფეხური	ბ) მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს გაამრავალფეროვნდეს კომპლექსური დავალებების იდეა, ძირითად კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის; გ) სასურველია პროექტული სწავლების შესახებ ინფორმაცია დეტალურად გაწერილი გქოდეთ დოკუმენტში. უმჯობესი იქნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებმა გაამრავალფეროვნოთ სასწავლო რესურსები და პროდუქტები, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ კომპლექსური ბუნების დავალების შესრულების დროს).
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, პროექტული სწავლება საგან „მოქალაქეობაში“) საშუალო საფეხური	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია მასწავლებლებმა მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებები და თავისებურებები, ასევე მოსწავლეებმა შესაძლებლობების ფარგლებში თავად შექმნან რესურსები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, პროექტული	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: შეფასების რუბრიკები უფრო მეტად მოერგოს სასწავლო თემებს და გათვალისწინებულ იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები.



	<i>სწავლება საგან „მოქალაქეობაში“) საშუალო საფეხური</i>	
<i>ინდიკატორი 2.1.2.3</i>	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; <i>ფიზიკური აღზრდა და სპორტი საშუალო საფეხური</i>	<i>ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ წარმოადგენილი ინვენტარის გარდა, სკოლამ სასურველია შეიძინოს უფრო მეტი ინვენტარი , რათა ბავშვები მაქსიმალურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში და ერთმანეთის ლოდინში დრო არ დაიკარგოს.</i>
<i>ინდიკატორი 2.1.2.5</i>	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; <i>ფიზიკური აღზრდა და სპორტი საშუალო საფეხური</i>	<i>ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან პედაგოგს მიერჩა რჩევა, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.</i>
<i>ინდიკატორი 2.1.2.5</i>	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს; <i>უცხოური ენა (ინგლისური, რუსული, გერმანული) საშუალო საფეხური</i>	<i>უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან რჩევა: სასურველია, უცხოური ენების კათედრამ შეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები გრძელვადიან სამიზნე ცნებებს დაუკავშიროს და წინასწარ გააცნოს მოსწავლეებს, შუალედური მიზნის (კომპლექსური ბუნების) დავალების პირობებთან ერთად.</i>

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლამ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 09/08/2024 მიმართა წერილით MES 7 24 0000958626, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სკოლა გაეცნო საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტს და ეთანხმება მასში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს. ასევე, სკოლა იზიარებს ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებს, რომლებსაც ეტაპობრივად გაითვალისწინებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მოსაზრებას და მიესალმება სკოლის მზაობას ექსპერტთა რჩევების გათვალისწინებით განავითაროს სასკოლო პრაქტიკა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ხედვა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შესაბამისობაშია მასთან. სკოლის მიერ შემუშავებული მისია და ხედვა სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია და ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

სკოლის მისიაა თითოეულ მოსწავლეს მისი უნარების და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად მისცეს წარმატების თანაბარი შანსი უსაფრთხო და შესაძლებლობებით მდიდარ გარემოში. სკოლა უზრუნველყოფს მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

ხედვა: გარდა ზოგადი განათლებისა სკოლა მუდმივად იზრუნებს მოსწავლეთა ინტელექტუალურ განვითარებაზე სხვადასხვა პროექტებში, კონკურსებში, შემეცნებით, სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობით.

შვიდი წლის შემდეგ, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებიდან 80 % შეძლებს იყოს რეალიზებული, მოთხოვნადი კადრი შრომის ბაზარზე და თავისი საქმიანობით ქმნიდეს მატერიალურ და ინტელექტუალურ კაპიტალს თანამედროვე საზოგადოებაში.

ღირებულებები: ინოვაციურობა; თანამშრომლობა; გუნდურობა; ღიაობა; დემოკრატიული მართვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. წარმოდგენილი მისიითა და ხედვით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. მისიაში გამოკვეთილია მოსწავლის მხარდამჭერი და პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები. სკოლის მისიიდან და ხედვიდან ჩანს, რომ მას სურს იყოს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოცო-კულტურული სივრცე. თითოეულ თანამშრომელს გაცნობიერებული აქვს მოსწავლეთა ინდივიდუალური და განსხვავებული შესაძლებლობები, გამოთქვამს მზაობას მათ მხარდასაჭერად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება - განხილვას, შეთანხმებასა და დამტკიცებაში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება. გათვალისწინებულია საგნობრივ კათედრებზე მასწავლებელთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლების მოსაზრებები. სკოლას აქვს ამის დამადასტურებელი კათედრის სხდომის ოქმები, ასევე მშობელთა, მასწავლებელთა გამოკითხვის ფორმები და ამ გამოკითხვის შედეგად მიღებული მოსაზრებების განსახილველად წარდგენილი მასალები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, რასაც ადასტურებს სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და დირექციასთან გასაუბრებისას გამოთქმული მოსაზრებები. მათ აღნიშნეს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია მშობელთა კრებებზე, დახურულ სოციალურ ჯგუფებში. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პირველადი ვერსიის შემუშავება მოხდა სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე. შემდეგ მოხდა ამ ვერსიის სასკოლო საზოგადოების მიერ გადახედვა და გაზიარება, საგნობრივმა კათედრებმა წარმოადგინეს წინადადებები და სასკოლო საზოგადოებამ გაითვალისწინა და შეიმუშავა საბოლოო ვერსია. შეთანხმება მოხდა სამეურვეო საბჭოსთან, დამტკიცდა პედაგოგიურ საბჭოზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და პედაგოგიურ საბჭოზე დამტკიცებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, გამოკრულია სკოლის შესასვლელში და განთავსებული სკოლის ვებგვერდზეც. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებიდან 1 კვირის მანძილზე ატარებენ მშობელთა კრებებს, რომელზეც აცნობენ სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. ეს ასახულია მშობელთა კრების ოქმებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის დასახელება სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი -განათლების სამინისტროს ბრძანების N448/ნ - ის საფუძველზე სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს -- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 ს/წ
 - მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მასზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ბრძანება 39 1/კ 22/03/2024
 - მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მასზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი 1. 17/05/2024
 - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სკოლის დირექტორის ბრძანება 38 1/კ 22/03/2024
 - სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი 7. 02.07.2024
 - სკოლის შესასვლელის ფოტო
 - საჯარო რეესტრის ამონაწერი და სკოლის რეგისტრაციის მოწმობა
-

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საავტორიზაციო განაცხადის თანდართულ დოკუმენტაციაში სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა აღნიშნული დოკუმენტი და აღმოჩნდა რომ, სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის 38 1/კ, 22/03/2024 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და მათი ინტერესების გათვალისწინებისათვის საჭირო პროცედურები და მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საავტორიზაციო განაცხადის თანდართულ დოკუმენტაციაში სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, რადგან როგორც თვითშეფასების დოკუმენტში იყო აღწერილი, იმ პერიოდში სკოლის ფილოსოფია და სტრატეგიული გეგმა დამუშავების პროცესში იყო. ამასთან დაკავშირებით სკოლას წარმოდგენილი ქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც ნათქვამია, რომ სკოლა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას გეგმავს 20.05.2024- 01.11.2024 პერიოდში. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ: „სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზე შექმნილია სამუშაო ჯგუფი მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშავებს სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე დაფუძნებულ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე. დოკუმენტში გათვალისწინებული იქნება მისიასთან თავსებადი მიზნები და დასახული იქნება მიზნების შესაბამისი ამოცანები.“ სკოლას ადგილზე ვიზიტისას ეთხოვა ამ ეტაპზე განხორციელებული ქმედებების შესახებ მოეწოდებინა ინფორმაცია. შესაბამისად სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით შემუშავებული სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის პროექტი, გეგმის შემუშავებისა და განხილვების დამადასტურებელი მასალები, სკოლის მიერ გაწერილი პროცედურების შესაბამისად დარჩენილია მხოლოდ ერთი სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის დამტკიცება, რომელიც დაგეგმილია სასწავლო წლის დაწყებამდე. ამ გარემოების გათვალისწინებით, ვინაიდან სკოლას შემუშავების პროცედურები დასრულებული აქვს და მხოლოდ დამტკიცების ეტაპია დარჩენილი, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლას განაცხადის წარდგენისას არ ქონდა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა. ამასთან დაკავშირებით სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც ნათქვამია, რომ სკოლა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავებას გეგმავს 15.11.2024 - 15.12.2024 პერიოდში. სკოლას ეთხოვა ამ ეტაპზე განხორციელებული ქმედებების შესახებ მოეწოდებინა ინფორმაცია, რადგან გაურკვევლი იყო რა აქტივობები და რის საფუძველზე განხორციელდებოდა 2024-25 წლის სასწავლო წლის I სემესტრში. მათ დამატებით ეთხოვათ მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის წარმოდგენა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო გარკვეული წარმოდგენის შექმნა ამ მიმართულებით სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. მათ წარმოადგინეს როგორც 2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, ასევე ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი. სკოლას მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები, ასევე სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად დაფუძნებულია გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შეფასებაზე. სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, ამის გათვალისწინებით გამოკვეთილია პრიორიტეტები და გაწერილია ყოველწლიური სამოქმედო გეგმა და აქტივობები. სკოლის მიერ გაწერილი პროცედურების შესაბამისად დარჩენილია მხოლოდ ერთი, კერძოდ, ახალ სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმასთან ერთად ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რომელიც დაგეგმილია სასწავლო წლის დაწყებამდე. ამ გარემოების გათვალისწინებით, ვინაიდან სკოლას შემუშავების და განხილვის პროცედურები დასრულებული აქვს და მხოლოდ დამტკიცების ეტაპია დარჩენილი, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტში 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის თითოეული მიმართულებით განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. პასუხისმგებლობა დელეგირებულია სასკოლო საზოგადოებაზე, რაც რეალისტურს ხდის სკოლის მიერ დაგეგმილ აქტივობებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მასზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ბრძანება
 - 2023-2024 ს/წ სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა და ახალი სასწავლო წლისთვის ერთწლიანი გეგმის პროექტი
 - სკოლის მიერ ჩატარებული გამოკითხვის ფორმები.
-

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება იანვარსა და ივნისში.

..... ინდიკატორი

შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას განაცხადის წარდენისას არ ქონდა წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტაცია, თუმცა სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიში. სკოლამ წარმოადგინა შესრულების ანგარიშიც, სადაც აღწერილია სამოქმედო გეგმის თითოეული მიმართულების მიხედვით სკოლის მიერ გაწეული სამუშაო და ჩატარებული აქტივობები. ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც აღწერილია სამეურვეო საბჭოსთან ანგარიშის წარდგენის საკითხი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების შესახებ ანგარიში სკოლას აქვს გასაჯაროვებული და გამოქვეყნებული სკოლის გვერდზე. ასევე, სკოლას დაგეგმილი აქვს სასკოლო საზოგადოებისათვის პროზენტაციის მოწყობა, ანგარიშის წარდგენა და მომავალი სასაჯლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტის წარდგენა/განხილვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სამეურვეო საბჭოს ოქმის მიხედვით სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები, ოქმში აღწერილია სკოლის ადმინისტრაციის მიერ ის აქტივობები, რომელიც მიმდინარე სამოქმედო გეგმის მიხედვით იყო გაწერილი, თუმცა ვერ განხორციელდა სრულყოფილად. აქვე წარმოდგენილია სკოლის მიერ გადადგმული ნაბიჯები, სხვადასხვა სტრუქტურებისადმი მიწერილობები, ლაბორატორიების მოწყობის, შიდა სპორტული დარბაზის, სკოლის მოსაზღვრე სამეზობლო კედლის, ლიფტის შეკეთების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციის თქმით აღნიშნული აქტივობები გადავა მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში და მიმდინარე მიღწევები თუ შეუსრულებელი ვალდებულებები გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის, როგორც ეს აღწერილია მათ რეგულაციებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 38 1კ ბრძანებით 22/03/2024 დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“
 - სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში. 1/07/2024
 - სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი 7. 1/07/2024
-

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 22 მარტის N 49 1/კ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების“ მიხედვით სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: 1.1. დირექცია; 1.2. პედაგოგიური საბჭო; 1.3. სამეურვეო საბჭო; 1.4. მოსწავლეთა თვითმმართველობა; 1.5. დისციპლინური კომიტეტი.

სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება სპეციალური მასწავლებლების, სსსმ პირის ასისტენტის, საქმის მწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და საინფორმაციო მენეჯერისაგან, ხოლო ტექნიკური პერსონალი შედგება დარაჯებისა და დამლაგებლებისაგან. სკოლაში დასაქმებულია ასევე ექიმი. ზამთრის სეზონზე კი ცეცხლფარეში. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება საჯარო სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცებულ დოკუმენტში ცალკე-ცალკე არის განსაზღვრული სკოლაში დასაქმებული პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

პირის ასისტენტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, სკოლის ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში).

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობები სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად ასახულია სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებში, რაც ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 22 მარტის N 49 1/კ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები.
- სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისას არ ქონდა თანდართული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამსახველი მასალა, ამიტომ ეთხოვათ მათ დამატებით წარმოედგინათ შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია და შეიძლება ითქვას, რომ სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, სკოლის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების, მის საფუძველზე სკოლასა და სკოლაში დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების და შინაგანაწესის შესაბამისად. რეგულაციები ეყრდნობა და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომელიც თითქოს თვალნათლივ აჩვენებს განსახორციელებლ ქმედებებს, მაგრამ შემდგომ დოკუმენტში აღარაა მოცემული თითოეული აქტივობის განსახორციელებლად კონკრეტული მიდგომები ან ინსტრუმენტები და მხოლოდ პროცესის ზოგადი აღწერილობებია. უმჯობესი იქნებოდა სკოლის მიერ პროცესების მართვის კონკრეტული გზებისა და ინსტრუმენტების მოძიება, მორგება, დაგეგმვა და განხორციელება.

სკოლა საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს როგორც პრევენციულ, ასევე ინტერვენციულ პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვისას. მაგალითად, სკოლას აქვს შემუშავებული ახალი მასწავლებლის ადაპტაციის წესი. ასევე, მასწავლებლის საავადმყოფო ფურცელზე და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში გასვლის დროს სკოლა დროულად ახდენს ჩანაცვლებას შემცვლელი მასწავლებლით და საათების გადანაწილება ხდება სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს შორის. იმ შემთხვევისთვის, თუ სკოლის შიდა კადრი დატვირთულია მაქსიმალურად სკოლას აქვს ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია სოფელში ან მიმდებარე სოფლებში მცხოვრები იმ კადრის შესახებ, რომელსაც შეიძლება დაუკავშირდეს და აიყვანოს შემცვლელი მასწავლებლის სტატუსით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში მოქმედებს პერსონალის შერჩევის წესი, რომელიც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

სკოლა მასწავლებლის შერჩევისას ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. მოთხოვნები ზუსტდება სკოლის რეგულაციების შესაბამისად საკონკურსო განაცხადის www.teacherjobss.ge -ზე გამოქვეყნებისას. კონკურსის დასრულების შემდეგ მასწავლებლებთან იდება მათი სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულება.

პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებლის სახლის და რესურსცენტრის წარმომადგენელთა მონაწილეობით. სკოლაში საგნის ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, ვაკანსია შეივსება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება შემცვლელი ან მოწვეული (არაუმეტეს 9 საათისა) მასწავლებლის აყვანა. კონკურსის ეტაპებია: საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; გასაუბრება; კონკურსის შედეგების განსაზღვრა. კონკურსის ეტაპების დასრულებისას დგება შესაბამისი ოქმი. გადაწყვეტილების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, კომისიამ თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობებს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებას. არჩეული მასწავლებელი მოინიშნება teachersjob.ge-ზე. დადასტურების შემდეგ საქმეთა მმართველი ასახავს eSchool-ის ბაზაში. ფორმდება ხელშეკრულებები, იწერება ბრძანებები. სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებში ინახება კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილი დოკუმენტები, როგორცაა ცნობები ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. შემუშავებულია კრიტერიუმები და აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც გამჭირვალეა. კონკურსანტს აქვს შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. პრეტენზიის დაფიქსირების უფლება კანდიდატს აქვს გადაწყვეტილების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, თუმცა ადმინისტრაციის თქმით ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლას ჰყავს 22 უფროსი, 8 წამყვანი, 1 მენტორი, 2 უფროსი სპეც მასწავლებელი. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც გაწერილია სკოლაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებული პერსონალი არის დაკავებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციით, რასაც ადასტურებს კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია eSchool-ის ბაზაში და სკოლაში მატერიალური ფორმით შენახული, რომელიც გადამოწმდა ვიზიტის პერიოდში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საგნობრივი კათედრები. ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში იქმნება

სამუშაო ჯგუფები, კომისიები. წარმატებით ხორციელდება აზრთა და გამოცდილებათა გაზიარება, პრობლემური საკითხების ერთობლივი განხილვა. სკოლაში მოქმედების ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ესწრება მასწავლებელს და აძლევს მას ობიექტურ უკუკავშირის სხვადასხვა ფორმით. გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ხდება გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი ტრენინგის შეთავაზება. საგნობრივი კათედრის სხდომებზე ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და პრობლემის გამოსწორების გზების ძიება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლის სოციალურ გვერდზე ქვეყნდება ყველა ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, ასე ხდება ერთის მხრივ, წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და ამავე დროს ქვეყნდება ინფორმაცია მოსწავლეთა თუ პედაგოგების წარმატებების შესახებ. მაგალითად, პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობა, კლუბური მუშაობა და სასკოლო ღონისძიებებისა და კონკურსების ამსახველი მასალები. ყველაფერი ეს, სკოლის წარმომადგენელთა აზრით, სტიმულს აძლევს და მოტივაციას უმაღლეს სასკოლო საზოგადოებას. სკოლის მხრიდან ხდება სასკოლო საზოგადოების წევრთა წარმატებების აღიარება და მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, წელს სკოლამ უმასპინძლა საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ დებატების რეგიონალურ ტურნირს. ტურნირში აქტიური მონაწილეობისა და საორგანიზაციო საკითხების საუკეთესოდ მოგვარებისთვის დებატ კლუბის ხელმძღვანელს და მონაწილე მოსწავლეებს გადაეცა სიგელები. ტურნირის შემდგომ მიღებული გამოცდილება გაზიარდა პრეზენტაციის ფორმით, პრეზენტაციას ესწრებოდნენ მოსწავლეები და მასწავლებლები. სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ წარმატებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში სკოლის შშმ მოსწავლისათვის დამზადდა ინდივიდუალური საჭიროებებზე მორგებული მერხი და სკამი. აღნიშნული პროექტის შესახებ ინფორმაციაც აქტიურად გაზიარდა სკოლის მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- პირად საქმეებში დაცული მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- კარდენახის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სკოლის სოციალური ქსელი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებლებთან ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის საფუძველზეც სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფი მასწავლებლებს ეხმარება საჭიროების დადგენაში და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში, ჯგუფი ხელს უწყობს მასწავლებელთა პედაგოგიური პრაქტიკის ეფექტიანობის გაზრდას რეკომენდაციებისა და უკუკავშირის საშუალებით. გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინება ხდება პედაგოგების მიერ სასურველი ტრენინგის არჩევისას. გარდა მასწავლებლებისა, სკოლა ასევე ზრუნავს სხვა პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. მაგალითად, სკოლის დაფინანსებით ბუღალტერმა

გაიარა ტრენინგები: „IPSAS–ი საქართველოს საჯარო სექტორში და ფინანსური ანგარიშგება“, „სასკოლო ბუღალტერიის თანამედროვე ტექნოლოგიები“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

2. პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებლებთან ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მე-11 მუხლში კი არის ჩანაწერი პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობების დაგეგმვის შესახებ, რომ გამოვლენილ საჭიროებებზე დაფუძნებით შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია დაგეგმვის დოკუმენტი, რადგან ძირითადად პროფესიული განვითარების აქტივობები დამოკიდებულია გარე პროვაიდერების შეთავაზებებზე, როგორცაა მასწავლებლის სახლი, USAID-ის პროგრამები და ა.შ. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ დგინდება მასწავლებელთა საჭიროებები, გაიცემა უკუკავშირები და ზეპირი რეკომენდაციები, არსებული რეკომენდაციების გათვალისწინება ხდება პედაგოგების მიერ სკოლის მიერ შეთავაზებულ ტრენინგ-მოდულების შერჩევისას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

3. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის მასწავლებლები ჩართული არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში. ამჟამინდელი მდგომარეობით, სკოლას ჰყავს 22 უფროსი, 8 წამყვანი, 1 მენტორი, 2 უფროსი სპეც მასწავლებელი. მასწავლებლები ესწრებოდნენ სკოლის მიერ შეთავაზებულ სტატუსის შესანარჩუნებელ ტრენინგ-მოდულებს, ასევე შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ კონფერენციებსა და ღონისძიებებში სკოლის პერსონალის ჩართვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

4. სკოლას აქვს შემუშავებული ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი. სკოლის ახალ თანამშრომელს აცნობენ სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. ხელშეკრულების გაფორმებისას კი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს. წესში განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპები. დირექციისა და კათედრის თავმჯდომარის როლი ახალი მასწავლებლისათვის კათედრის სამუშაო გეგმისა და სპეციფიკის გაცნობა. პირველ სამუშაო დღეს სკოლა ხვდება განსაკუთრებულად, მნიშვნელოვანია ასევე მასთან ერთად არაფორმალური აქტივობების დაგეგმვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

5. სკოლა მხარს უჭერს პერსონალის პროფესიული განვითარების ინიციატივებს. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა სკოლის ბუღალტრის პროფესიული განვითარებისათვის სკოლამ მხარი დაუჭირა მის ინიციატივას ბუღალტრული მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და სკოლამ დააფინანსა მისი ტრენინგები „IPSAS–ი საქართველოს საჯარო სექტორში და ფინანსური ანგარიშგება“, „სასკოლო ბუღალტერიის თანამედროვე ტექნოლოგიები“. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ დებატების კლუბის ხელმძღვანელის

ინიციატივით უმასპინძლა დებატების ორდღიან რეგიონალურ ტურნირს. სკოლის შინაგანაწესში მუხლი 11. განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, სადაც აღწერილია წახალისების ფორმები და პირობები. ამ წესის შესაბამისად ტურნირის წარმატებით ორგანიზებისთვის ინიციატორ მასწავლებელს გადაეცა სიგელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 მარტის N 53 1/კ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის „ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი“.
- სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 16 თებერვლის 16 1/კ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- პირად საქმეში განთავსებული ტრენინგის დამადასტურებელი ცნობები, მაწავლებელთა სერტიფიკატები, მასწავლებლის სიგელები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- USAID-ის ლიდერ მასწავლებელთა შეხვედრის ოქმები
- სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 1 ივლისის 7 ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, სადაც იკვეთება პროცესული მიდგომა. სკოლის მართვის პროცესში ჩართულია სკოლის ყველა სტრუქტურული რგოლი: პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მათი მიზნობრივი მუშაობა ხელს უწყობს სკოლის განვითარებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროცესი საჭიროებს მუდმივ განვითარებასა და დახვეწას. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელშიც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები, რეგულაციები, განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სასწავლო წლის დაწყებისთვის წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესები და დამხმარე პროცესები, შესაბამისი აქტივობებისა თუ დოკუმენტების გაწერისა და დამტკიცების ვადები, შეფასების განხორციელების წესი და ვადები, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის, დასკვნის შედგენისა და უკუკავშირის მექანიზმები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა პროცესის მიზნობრივ

მიმდინარეობას. პროცესებში აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაცია, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემა. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საჯარო სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, სადაც გაწერილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები და გასაჩივრების პროცედურები. დისციპლინარულ გადაცდომების განხილვის მიზნით შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემა მიუკერძოებელია და ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს, რასაც მოწმობს ვიზიტისას სკოლის მხრიდან აღწერილი ქეისი. კერძოდ, მანდატურის აქტის საფუძველზე დისციპლინური კომიტეტის მიერ შემთხვევის განხილვა, რასაც შინაგანაწესის შესაბამისად მოჰყვა მასწავლებლისათვის საყვედურის გამოცხადება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის წესდებას წარმოადგენს საქათველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვისათვის გაწერილია სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებები და ვალდებულებები, სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობები, თანამშრომელთა მიღების წესი, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი შეზღუდვის საფუძველები, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენებისა და დასვენების დრო, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავი ჩამონათვალი, თანამშრომელთა და მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, წახალისებისა და დისციპლინური სახდელის გამოყენების პრინციპები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 მარტის 54 1/კ ბრძანება.
- სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 8 აპრილის N 66 1/კ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. სკოლაში შექმნილი გარემო და პირობები უზრუნველყოფს დირექციისა და სკოლაში დასაქმებულ პირებთან მშობლების თანამშრომლობას. ეს უზრუნველყოფს მათ დროულ ინფორმირებულობას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ თუ სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესების შესახებ. კლასის დამრიგებლები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იწვევენ მშობელთა კრებებს და აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო-სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ახალი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, იმართება უშუალოდ საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხის გაცნობის მიზნით. მასწავლებლების ინფორმირება ხდება პირისპირ შეხვედრებით, სოციალური ქსელებით, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციებით. ჩატარებული ღონისძიებების შესახებ სკოლის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციებით სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალებით ხდება საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფა და შესაბამისი უკუკავშირის მიღება. თუმცა, სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა და მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმირება და უკუკავშირის მიღება არა მხოლოდ სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწეული შედეგების შესახებ, არამედ სკოლის განვითარებისა და არსებული გამოწვევების დაძლევის გზებზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის შიდა რეგულაციებით დასტურდება სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა და მონაწილეობა. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლე. აღნიშნული ერთეულის უფლებებიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, რომელშიც გაწერვიანებული არიან სკოლის პედაგოგები, ხოლო მოსწავლეთა თვითმმართველობაში გაწერვიანებული არიან სკოლის მოსწავლეები. სტრუქტურული ერთეულების უფლებები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და სკოლის შიდა რეგულაციებით, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას სკოლის მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. ამის გარდა, მშობლები სასკოლო ცხოვრებაში ერთვებიან სხვადასხვა ფორმით მაგალითად, იღებენ მონაწილეობას სკოლის გამწვანების აქციაში და მრავალფეროვან სასკოლო ღონისძიებებში. სკოლის მიერ აღწერილი გარემოებები, რა თქმა უნდა მისასაღმებელია, მაგრამ სტანდარტის კრიტერიუმთან უფრო მყარი შესაბამისობისათვის სკოლას კვლავ ბერძე სამუშაო აქვს სკოლის დემოკრატიული მართვის პროცესების ხელშესაწყობად. კერძოდ, მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების უფრო აქტიური ჩართვა სასკოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმირება სრულად არ ნიშნავს საზოგადოების ჩართულობას. სკოლას ვიზიტისას მიეწოდა სკოლის დემოკრატიული მართვის გზამკვლევის ბმული და სხვა საჭირო ინფორმაცია შესაბამისი აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის 48 1/კ 22.03.2024 ბრძანება „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“
- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ ოფიციალური დასკვნა. თუმცა, აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: 2005 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 7865.0 კვ.მ. ფართი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით (შენობის ფართობი 2991.1 კვ. მ). 2020- 2021 წლებში სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტირება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, ფონდმა სკოლას

გადასცა დოკუმენტი შენობის მდგრადობის შესახებ. სკოლამ წერილით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დოკუმენტის ვალიდურობის დადასტურების მიზნით. მიღებული პასუხით ამ ეტაპზე გაურკვეველი რჩება აღნიშნული შენობის მდგრადობის აღწერილობითი დოკუმენტი, რამდენად არის საკმარისი სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის, შესაბამისად სკოლას მიეთითა, რომ დროულად გაერკვეს საკითხში და დააჩქაროს პროცედურები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ 2025 წლის 26 მარტისთვის უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

სკოლაში შექმნილია უსაფრთხო გარემო, სკოლას ჰყავს 2 მანდატური და 2 დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. ფუნქციონირებს ვიდეო სათვალთვალო სისტემა, სკოლაში დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლის ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და დამონტაჟებულია 6 ცეცხლმაქრი, დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლას აქვს საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომელიც შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლას დაწყებული აქვს მუშაობა და აქვს მიწერილობები უფლებამოსილ უწყებასთან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისათვის სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. სკოლას ჰყავს ერთი სკოლის ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება და მისი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით უკავშირდება საგანგებო სიტუაციების სამსახურს 112-ს და იძახებს სასწრაფო დახმარებას, რომლებიც საჭიროებისამებრ აღმოუჩენენ პირველად სამედიცინო დახმარებას. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ის ტელეფონის ნომრები, რომლებზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლას დირექტორის ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მექანიზმები, რომლითაც განსაზღვრულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში დასაქმებული მანდატურები და სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლის მასწავლებლები ასრულებენ მათზე დაკისრებულ მორიგეობის ფუნქციას, ისინი აკონტროლებენ სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლაში შემოსულ ყველა სუბიექტს, იკვლევენ მათი მოსვლის მიზეზს და არეგისტრირებენ სპეციალურ ჟურნალში. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ ცხელი ხაზის ნომერი, მანდატურების მობილური სამსახურებრივი ნომრები, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის ნომერი, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. აღნიშნული ინფორმაცია ეცნობა ასევე მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს სასწავლო წლის დაწყებისას. სკოლა შინაგანაწესის შესაბამისად ანხორციელებს დროულ და ეფექტიან რეაგირებას. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სასკოლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლეების როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად უსაფრთხო განვითარებას. დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, მათი მიზანია დროულად ამოიცნონ ბავშვთა საჭიროებები და მოახდინონ მათზე ჯეროვანი რეაგირება. სკოლა ზრუნავს ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნაზე მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით (სკოლას ჰყავს 2 სპეციალური პედაგოგი, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარებიან მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში სპეციალურად შედგენილი გრაფიკის მიხედვით); მუდმივად ავითარებს და სრულყოფს სასწავლო რესურსებს; ხელს უწყობს მშობლის აქტიურ ჩართულობას შვილის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში. სკოლას აქვს ბავშვთა საჭიროებების ამოცნობის, მათზე ჯეროვნად რეაგირების პრაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მათ ხარისხიან მომსახურებას.

დატურის სამსახურის წარმომადგენელთა ჩართულობით მოქმედებს რეფერირების წესი. სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა სკოლის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ეცნობება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ ცხელი ხაზის ნომერი, მანდატურების მობილური სამსახურებრივი ნომრები, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის ნომერი, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. ეწყობა ერთობლივი შეხვედრა დირექციის, დამრიგებლის, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებსა და მშობლებს შორის. მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ მოიწვია მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკი, რომელმაც გააკეთა პრეზენტაცია თემაზე „პროფესია სოციალური მუშაობა“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში დაცულია სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები. სკოლაში არის უწყვეტი ელექტროენერგია, შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილი, სკოლაში არის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელი წყალი. შენობაში ასევე დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ყველა სასწავლო ოთახი აღჭურვილია ორი ან მეტი ფანჯრით. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საჯარო სკოლის სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელშიც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები და განსაზღვრულია ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის ექიმი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით გამოყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. თუმცა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სკოლამ უნდა იზრუნოს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცირის აყვანაზე. სკოლის პასუხი იყო, რომ ისინი ელოდებიან შესაბამის ინსტრუქციებს სამინისტროსა და რესურს-ცენტრიდან, რის შემდეგაც დაარეგულირებელ ამ საკითხს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. სსიპ- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამინისტროს მიერ დადგენილი რეკომენდაციები/რეგულაციები: ა) სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. ბ) სკოლაში ხორციელდება გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის განახლება გ) სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დ) ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას, ე) წელიწადში არანაკლებ ერთხელ ხორციელდება დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. ვ) სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის საარქივო მასალები ინახება დაცულ სივრცეში. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრულია სკოლის არქივზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

8. ინდიკატორი არ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შენობის მდგრადობის დოკუმენტთან დაკავშირებული მიწერილობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსადმი დოკუმენტის ვალიდურობაზე .
- განცხადება სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის შესახებ.
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ.
- ექიმის ხელშეკრულება
- აქტი მშობელთა ინფორმირებულობის შესახებ
- სანიტარული ნორმების დაცვის წესები; სსიპ-გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის

დირექტორის 2024 წლის 25 მარტის N 52 1/კ ბრძანება

- სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები; სსიპ-გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 6 მარტის N 28 1/კ ბრძანება
- მასწავლებელთა თანხმობის ფორმა პერსონალურ მონაცემებზე
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 22 მარტის N 41 1/კ ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. რეაბილიტირებული სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის სკოლის შენობა არის 2 სართულიანი, პირველ სართულზე განთავსებულია - რესურსოთახი, დირექტორის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის კაბინეტი, მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის კაბინეტი, 9 საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკა და ბიოლოგია), ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, ბუფეტი, 9 განყოფილებიანი 2 საპირფარეშო, 15 სველი წერტილი (ხელსაბანები). მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, ბუფეტერია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ქიმია), არქივი, 10 საკლასო ოთახი, 11 ადგილიანი 2 საპირფარეშო და 16 სველი წერტილი (ხელსაბანი). ნულოვან სართულზე განთავსებულია 2 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, ასაკის შესაბამისი მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ოთახები, რომელშიც განთავსებულია ლაბორატორიების აღჭურვილობა. სკოლას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსადმი გაგზავნილი აქვს მიმართვა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის განახლების თაობაზე. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლა დაფარულია უკაბელო ინტერნეტ ქსელით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო წიგნების ეგზემპლარები, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი, ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს დახურული სპორტული დარბაზი. დახურული სპორტული დარბაზის მოწყობის თაობაზეც სკოლას გაგზავნილი აქვს მიმართვა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსადმი. სკოლის მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა მოთხოვნილ რაოდენობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

2. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლა მუდმივად ზრუნავს შექმნას მოსწავლეებისათვის სწავლისა და განვითარებისთვის საჭირო კომფორტული და უსაფრთხო აკადემიური სივრცე, სადაც იმუშავენ მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები, სკოლაში არსებული კლუბები (ეკოლოგიის, დებატების და სხვა). სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და რესურსები თანაბრად

ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლის კომპიუტერული ტექნიკის ძირითადი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რომელიც საზიარო სივრცეა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლებისთვის. სკოლის კეთილმოწყობილი სპორტული მოედანიც ღიაა სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

3. სკოლის ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება), რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლის ბიბლიოთეკარი მუშაობს დებულების შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკით აქტიურად სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები. ბიბლიოთეკის სივრცე გამოყენებულია სხვადასხვა აქტივობების, ღია გაკვეთილების და პროექტებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

4. სკოლის გარემო ადაპტირებულია და მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სკოლას ჰყავს 2 სპეციალური მასწავლებელი. 1 სსსმ პირის ასისტენტი. ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეს შეუძლია დაუბრკოლებლად გადაადგილება სკოლის გარე და შიდა სივრცეში, სკოლას აქვს ლიფტი და სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული რესურს ოთახი თავისი ინდივიდუალური და ადაპტირებული საპირფარეშოთი. რესურს ოთახი აღჭურვილია კომპიუტერით, ტაქტილური აღქმის სხვადასხვა რესურსით: სამერწი, მარცვლეული, ფანქრები, საღებავები, თაბახის ფერადი და თეთრი ფურცლები, ფაზლები. კუბიკები, რიცხვების დაფა, მრავალფუნქციური დაფა, მოძრავი ანბანი, ხის სათამაშოები და ადაპტირებული მერხი და სკამი შშმ მოსწავლისთვის. სპეციალური მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ ისინი გეგმავენ თითოეული საჭიროების მქონე ბავშვის განვითარების გეგმას, ახდენენ რესურსების მოძიებასა და შექმნას მოსწავლის საჭიროებისამებ. მათი თქმით რესურს ოთახი ბევრი მოსწავლის საყვარელი ადგილია, სადაც ხშირად შემოდინან საჭიროების არ მქონე მოსწავლეებიც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

5. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები სასკოლო საზოგადოების თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას და იწვევს სასკოლო საზოგადოების წევრთა პოზიტიურ ფსიქოლოგიურ და ემოციურ განწყობას. სკოლის ბიბლიოთეკა, საერთო სარგებლობის გამწვანებული სივრცე ეზოში და ეზოში განთავსებულია კეთილმოწყობილი სპორტულ მოედანი, სადაც იმართება სპორტული აქტივობები, სასკოლო ღონისძიებები და ტურნირები ხელს უწყობს სოციალურ ურთიერთობებსა და სასკოლო კულტურის განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
 - მიწერილობა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფის შესახებ
 - მიწერილობა დახურული სპორტული დარბაზის მოწყობის შესახებ
 - მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი; სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის -25 მარტის N 51 1/კ ბრძანება
 - სკოლის ბიბლიოთეკის დებულება
-

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საკმარისია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი წარმართვისათვის. სკოლას დოკუმენტაციით უდასტურდება მუშა მდგომარეობაში მყოფი 22 ცალი პერსონალური კომპიუტერის, 28 ცალი ლეპტოპის, 4 პროექტორისა და 6 პრინტერის ფლობა, რომელიც საჭიროების შესაბამისად გადანაწილებულია ადმინისტრაციის მუშაობისა და სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და ჰყავს საშტატო ნუსხით დამტკიცებული საინფორმაციო მენეჯერი. სკოლას აქვს შემუშავებული ციფრული განვითარების გეგმა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საჯარო სკოლის IT ინფრასტრუქტურას წარმოადგენს ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები, პროექტორები, პროექტორის ეკრანი, პრინტერები, რომლებსაც მასწავლებლები მიზნობრივად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებისას, ასევე საგანმანათლებლო რესურსების შესაქმნელად. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია ისტ ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ამ წესების დაცვით, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩართულობით იქმნება ელექტრონული რესურსები, გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი. სკოლის სურს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მუდმივი განვითარება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, დირექტორის 2024 წლის -25 მარტის N51 1/კ ბრძანება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 მარტის N57 1/კ ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი. სკოლა მოქმედებს ამ წესისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად, კერძოდ: სკოლა იყენებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას (e-flow). შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა შესახებ გამოცემულ ბრძანებები. მაგ: ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება სკოლაში ასევე იწარმოება შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება

შეთანხმება, რომელიც ებმება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეებში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. სკოლაში იწარმოება და კანონმდებლობით დადგენილი წესით იკინდება და ინახება საბუღალტრო დოკუმენტაცია. ადგილზე ვიზიტისას შერჩევით გადაიხედა რამოდენიმე პირადი საქმე და მასში არსებული დოკუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მართვასა და საქმის წარმოებაში აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები. კერძოდ, სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლა შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას აწარმოებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა შესახებ მონაცემები შესულია eschool-ის ბაზაში. ვიზიტისას მოხდა ბაზების ზედაპირული დათვალირება. სკოლის მართვის პროცესში ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის ელექტრონული ფოსტები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვისათვის გამოიყენება e-flow-ს სისტემა, eschool -ის სისტემაში, შეტანილია ინფორმაციები მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების შესახებ. ასევე კლასების, პარალელური კლასების რაოდენობის, მასწავლებელთა სტატუსების, მოსწავლეთა სოციალური სტატუსების, სსსმ მოსწავლეების შესახებ. მოსწავლეთა შეფასებები და გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. ადგილზე ვიზიტისას გადამოწმდა სკოლის პროფილი და მასზე განთავსებული ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დაწესებულების საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა დაცვითაც

უზრუნველყოფს შესაბამისი პროცესებს. მაგალითად, სკოლა ყოველწლიურად 10 დეკემბერს უგზავნის ანგარიშებს პრეზიდენტს, პრემიერმინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და საკანონმდებლო მაცნეს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება რესურსცენტრის წარმომადგენლის, დირექტორის, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლის, პედსაბჭოს თავმჯდომარის, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარის, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იხილავს ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, მართავს შეხვედრებს, ამზადებს ანგარიშებს და შემდეგ წარუდგენს მანდატურის სამსახურს. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად შეისწავლის ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესს სკოლაში და წერს შესაბამის დასკვნას, რასაც აგზავნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-
- საქმისწარმოების წესი, დირექტორის 2024 წლის 29 მარტის N 57 1/კ ბრძანება
 - პრემიერ მინისტრისათვის წარდგენილი 10 დეკემბრის ანგარიში,
 - *eflow*,
 - *eschool*,
-

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;



3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლა რეგულარულად უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას. სოციალურ ქსელში თავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ, სკოლა სარგებლობს ელექტრონულ ფოსტებით, ელექტრონულ ჟურნალით, საინფორმაციო დაფით, სატელეფონო კომუნიკაციით, იმართება სამეურვეო საბჭოს სხდომები, რომელსაც ესწრებიან პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი მოსწავლე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი. სკოლა აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ შექმნილი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია სკოლის სათანადო ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლა საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ახდენს მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებით. ვიზიტისას დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ავრცელებს მხოლოდ ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელიც მიღებული აქვთ ოფიციალურად სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე ან ეფლოუს მეშვეობით ოფიციალური სტრუქტურებიდან, განათლების სამინისტროს სიპებიდან. სოციალურ ქსელში თავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ, მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების, ფორუმების შესახებ. ამისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, საინფორმაციო დაფები, პირდაპირი კომუნიკაცია. ეს

ინფორმაციები ერთნაირად ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლის, მათი მშობლებისა და მასწავლებლისათვის და შეესაბამება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესს, რომელიც სკოლის ვებ გვერდზეა განთავსებული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

3.ინდიკატორი არ ფასდება

.....

4. სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზაზე განთავსებული ვებ-გვერდი, მასზე ინფორმაცია ქართულადაა განთავსებული. სკოლა გეგმავს ვებგვერდზე ინფორმაციის ეტაპობრივად სრულყოფას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

5. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილია სკოლის პორტალი, სადაც ამ ეტაპზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა და საკონტაქტო ინფორმაცია, შინაგანაწესი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიში და ა.შ, ახალი სასწავლო წლისთვის ვებ გვერდზე განთავსდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა საჭირო ინფორმაცია, რომელიც მშობლებს მისცემს სასკოლო ცხოვრების უკეთ გაცნობის საშუალებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

- სკოლის ვებგვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/1237?schoolName=>
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი
- აქტი მშობელთა ინფორმირებულობის შესახებ, აქტი სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობაზე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსურ რესურსს ძირითადად მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება და ბუფეტის იჯარით მიღებული შემოსავალი შეადგენს. აღნიშნული რესურსით ხორციელდება სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი და ფინანსები მიზნობრივად ნაწილდება სახელფასო ფონდისთვის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა თუ საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო რესურსების შესაძენად. არასაკმარისი ფინანსების გამო სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან არასდროს მოუთხოვია დამატებითი დაფინანსება. სკოლის ბიუჯეტი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტის მონიტორინგს ახდენს სკოლის სამეურვეო საბჭო.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლა თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებიც თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების

შეშენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს. ფორმდება დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ყოველწლიური ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ, რომელსაც იგი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის ფინანსურ ანგარიშზე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ასევე, მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის „შინაგანაწესი“. სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები და საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიები ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ მიზნით სკოლაში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის, მოსწავლეთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მოსწავლეთა უფლებების დაცვის შესახებ სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა, სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებიდან 1 კვირის განმავლობაში მოსწავლეებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავენ საკლასო ქცევის წესებს, რომელიც საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული. დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას იწვევენ მშობელთა კრებებს და მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, გაცნობა დასტურდება მშობლის ხელმოწერით. მოსწავლეთა უფლებების დაცვის შესახებ სასკოლო რეგულაციები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში მოსწავლის მშობელთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან ორ ეგზემპლიარად ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, გაფორმებამდე მშობელი ეცნობა ხელშეკრულების პირობებს. ფოტოებისა და ვიდეო მასალების გამოქვეყნების საჭიროებისას მშობელთან ივსება თანხმობის ფორმები. ასევე, ექსკურსიებისა და ლაშქრობების დაგეგმვის დროს ივსება მშობლის თანხმობის ფორმა. აღნიშნული გადავამოწმეთ უშუალოდ ვიზიტის დროს შემთხვევით შერჩეული ხელშეკრულებების გაცნობით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმი
- შინაგანაწესი
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები 41 დანართი 57 მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლის ჩარიცხვას უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დამლევის მექანიზმები და პროცედურები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მოსწავლის ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში პირველკლასელთა რეგისტრაცია მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამი ეტაპის დაცვით. სკოლაში ვიზიტისას შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია და ბაზა, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახორციელებენ პროექტებს, შეხვედრებს და სხვადასხვა აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით. ინფორმაცია სკოლაში არსებული კლუბების შესახებ განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ასევე ინფორმაცია ვრცელდება სკოლის ფეისბუქ გვერდით. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა მშობელთა კრებები, რომელზეც მშობლებს აცნობენ სკოლის შიდა პოლიტიკის დოკუმენტებს: სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის საშუალებით მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლაში არსებული კლუბების და მათში მოსწავლეთა მოსალოდნელი ქმედებების შესახებ.

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა დაინტერესებულ მხარეებს საკუთარი პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციას აწვდის სხვადასხვა გზით. სკოლა სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, სოციალურ ქსელს, საჭიროების შემთხვევაში დამრიგებელთა ინდივიდუალურ შეხვედრებს, მშობელთა კრებებს. როგორც უკვე ითქვა, აქტივობებისა და ღონისძიებების სოციალურ ქსელში განთავსებამდე სკოლის ადმინისტრაცია მშობლისგან იღებს თანხმობას.

სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული გადამოწმდა უშუალოდ ვიზიტისას სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დამტკიცების ბრძანება
 - მშობლის თანხმობის ფორმა (ექსკურსიის)
 - მშობლის აქტი შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, მისიის გაცნობაზე
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია ადაპტაციის წესები. აღნიშნული დოკუმენტში გაწერილი მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელების, სსსმ მოსწავლეების, საბაზო/საშუალო კლასების მოსწავლეების, მობილობით გადმოსული სასკოლო გარემოსთან ადაპტირებისთვის გამოყენებული მიდგომები. მოსწავლის ადაპტაციაზე მუშაობენ როგორც კლასის დამრიგებლები, ისე სპეციალური მასწავლებლები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. გასაუბრების დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღწერეს პირველკლასელთა ადაპტაციის მიზნით სასწავლო წლის დაწყებისას განხორციელებული აქტივობები, როგორცაა ბავშვთან ერთად ტურის განხორციელება სკოლაში და გარემოს მონახულება, საპირფარეშოებში ჰიგიენის წესების გაცნობა, კომუნიკაციის დამყარება დამრიგებელთან და სხვა მასწავლებლებთან. მსგავსი აქტივობები ხორციელდება სკოლაში ახალი მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაშიც. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლაში სსსმ მოსწავლის ადაპტაციას, ამისთვის სკოლა ბავშვის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის გამოყენებით იძიებს ინფორმაციას სსსმ ბავშვის ფუნქციური, სოციალურ-ემოციური, წინა აკადემიური უნარების, ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებების და პიროვნული მახასიათებლების შესახებ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეგისტრაციის შემთხვევაში, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს და გაცემულ რეკომენდაციებს. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, რესურსოთახი მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპით, არის ადაპტირებული ავეჯი, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ მოსწავლეებს საგნობრივ კონსულტირებას. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს. მასწავლებლები მიმდინარე შეფასებების და შემაჯამებელი დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს აძლევენ შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს. მოსწავლეს ეძლევა სემესტრული ქულის ამაღლების შესაძლებლობა. მშობლის განცხადების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ინიშნება გამოცდა. საგნის მასწავლებელი უწევს კონსულტაციას, აძლევს რეკომენდაციას, კონსულტაციები მიმდინარეობს ასევე ექსტენის გამოცდების წინ. პროცესის მეტად ორგანიზებულად წარმართვისა და მდგრადობისთვის კარგი იქნება სკოლას ცალკე ჰქონდეს შემუშავებული ან რომელიმე შესაბამის დოკუმენტში გაწერილი თუ როგორ ახორციელებს მოსწავლეთა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. თითოეულ მოსწავლეს სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლას საქმისწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისი რეალისტური ვადები.

მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება.

თუ მოსწავლე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობით ვერ ახერხებს სკოლაში სიარულს, რაც დასტურდება ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობით, სკოლა სთავაზობს მას შინ სწავლების მომსახურებას.

სკოლაში კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვისაც. მაგალითად, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით შემუშავებულია რესურსოთახით სარგებლობის განრიგი, რომლის დროსაც ამ მოსწავლეებთან მიმდინარეობს დამატებითი მუშაობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტიურად უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას სხვადასხვა პროექტებში ჩართვით. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, დებატების კლუბი და სამოქალაქო განათლების კლუბი, თითოეულს გაწერილი აქვს დებულება და სამოქმედო გეგმები შესაბამისი აქტივობებით, წელს სკოლამ უმასპინძლა დებატების კახეთის რეგიონალურ ტურნირს. სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ განხორციელდა პროექტი: „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“. წახალისების და მოტივაციის გაზრდის მიზნით სკოლა აჯილდოვებს პროექტში ჩართულ მასწავლებელსა და მოსწავლეებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლა, მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით, მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. თვითმმართველობის წევრები მიერ კლასებში მოგროვილი ინფორმაცია, იდეები, წინადადებები, კითხვები მუშავდება და

შემდგომში გამოიყენება ინიციატივების დაგეგმვის და განხორციელების პროცესში. თუმცა, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ინფორმაციები ხშირად უფრო ზეპირი სახისაა და გეგმავენ კითხვარების შემუშავებასა და ინფორმაციის წერილობით ფორმით მიღებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესები, 2024 წლის 22 მარტის 2.43 ბრძანება
- სკოლის საქმისწარმოების წესი
- რესურსოთახის ფოტოები
- კლუბების მუშაობის ამსახველი მასალა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიმართულებით სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლის ფინანსური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით IX და XI კლასებში ატარებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილებს. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების მოწყობას, სასწავლებლის ღია

კარის დღეზე დასწრებას და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს. მაგალითად, გასულ სასწავლო წელს სკოლაში ჩატარდა კოლეჯ „აისის“ წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ მოსწავლეები და მათი მშობლები. კოლეჯის წარმომადგენლებმა დეტალურად გააცნეს მოსწავლეების მშობლებს სასწავლო პროგრამების ჩამონათვალი, ჩარიცხვის პირობები და პროცედურები, სწავლის ხანგრძლივობა და კონკრეტული პროფესიების სამომავლო პერსპექტივები. აღსანიშნავია, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ფართო ხედვა და პროფესიული პროგრამის ინტეგრირებაზე მიმართული პროექტი: „პროფესიული განათლება – ახალი შესაძლებლობა“, რომელიც განხორციელდება ახალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეები ეცნობიან საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეთავაზებებს. სკოლა აწვდის ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერვისების შესახებ, ასევე ხორციელდება შეხვედრები პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებთან, რომლებიც აცნობენ მოსწავლეებს თავისი სერვისებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. .. დირექციასთან ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და ცდილობენ მოსწავლეთა საჭიროებებს მოერგონ შესაძლებლობების ფარგლებში. სკოლა აფასებს მის მიერ მოსწავლეთა პროფესიული განვითარებისთვის გაწეული სამუშაოს შედეგს, მაგალითად კურსდამთავრებულებთან გასაუბრების გზით, რომელზე დაყრდნობითაც სამომავლოდ შეიმუშავენ სტრატეგიებს უფრო ეფექტიანი პროფესიული ორიენტაციის მექანიზმების დასაწერად. ამ მიმართულებით სკოლა თანამშრომლობს მეზობელი სოფლის სკოლებთანაც და გაფორმებული აქვთ მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც უზიარებენ გამოცდილებას და გეგმავენ ერთობლივ ღონისძიებებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სოფელ ჭანდრის სკოლასთან გამოცდილების გაზიარება პროფესიულ ორიენტაციაზე
 - მიმდინარე პროექტი- პროფესიული განათლება-ახალი შესაძლებლობები.
-

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად აქვს გაწერილი: რა მოიაზრება ცნებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე; რა პროცედურებით ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება; სკოლის ვალდებულება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, როგორ უნდა მოახდინოს მოსწავლისთვის ესგ-ს მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება და სხვ. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება ისგ ჯგუფები, შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს, შეიმუშავებს დასკვნას და აგზავნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

.....

2. სკოლა იაზრებს საკუთარ როლს თითოეული მოსწავლის ადაპტირებასა და სწავლის ხელშეწყობაში. სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის სხვადასხვა დღის აღნიშვნა, შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან და სხვ. სპეციალური მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ სსსმ მოსწავლის საგნის მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან და მშობლებთან მოსწავლისათვის ოპტიმალური მიზნების შერჩევის პროცესში, აწვდიან რეკომენდაციებს. სკოლა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ცდილობს სოფლის საზოგადოების ჩართვას სხვადასხვა ღონისძიებებში. მაგალითად, სკოლამ გასულ სასწავლო წელს თემ ქედელთან ერთად განახორციელა პროექტი „შვედური ინსტიტუტის მხარდაჭერით“, სადაც თემის ბენეფიციარ შშმ პირებთან ერთად პროექტის ფარგლებში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია, მოეწყო ფოტოგრაფიკური კონკურსი და მწერალ არჩილ ქიქოძის მიერ შექმნილი ფოტოგრაფიული და ლიტერატურული ფოტოების გამოფენა, დასასრულს ჩატარდა ღონისძიება „თემ ქედელის“ წევრებისა და სკოლის მოსწავლეების ერთობლივი მონაწილეობით. პროექტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია როგორც სოფელ კარდენახის, ასევე მეზობელი სოფლების მაცხოვრებლებში, ამიტომ სკოლა კვლავ აპირებს მსგავსი აქტივობების ჩატარებას უფრო ფართო საზოგადოების ჩართლობით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ი.ს.გ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ი.ს.გ-ს შეთანხმებაზე,
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი ი.ს.გ-ს დამტკიცებაზე.
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა,
- ი.ს.გ-ს ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება,
- მულტიმედია-გუნდის დასკვნა
- თემ ქედელთან ერთობლივი პროექტის დამადასტურებელი ფოტომასალა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლას იჯარით გაცემული აქვს ფართი და ფუნქციონირებს ბუფეტი, რომელიც კეთილმოწყობილია და აკმაყოფილებს სტანდარტებს. ასევე, სკოლას ემსახურება ტრანსპორტი. მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება სამი მიმართულებით. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოყოფილია ტრანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ადგილზე ვიზიტისას გადამოწმდა აღნიშნული მომსახურების მასალები: იჯარის ხელშეკრულება, ტრანსპორტის მომსახურების ტაბელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი კლუბებში. როგორც ზემოთ არის აღნიშნულის სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, სადაც მოსწავლეები ერთიანდებიან ნებაყოფლობით და კლუბების

მუშაობა ხორციელდება მართვის კოლეგიალურ ორგანოსთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა არ აწარმოებს ისეთ საქმიანობას, რომელიც საჭიროებს განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვებას. მომსახურება ხორციელდება სკოლაში ზოგადად არსებული უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტის ტაბელი
 - ტრანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა
 - იჯარის ხელშეკრულება
 - სამეურვეო საბჭოს ოქმი ფართის იჯარით გაცემის შესახებ
 - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვა
 - ეკონომიკის სამინისტროს ნებართვა
-

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});
2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});
3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});
4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- შემოქმედებითი ბუნების დავალების ნიმუშები, შეფასებებით;
- კურიკულუმის შემუშავების დამადასტურებელი დოკუმენტები და აქტივობები;
- მშობელთა კრების ოქმი სასკოლო გეგმის გაცნობაზე;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- 17.04.2024 წლის N1 ოქმი (მშობელთა კითხვარის დანართით);

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1}, დანართი №5^{2.1}):

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აიასახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ:

- 1.-თემატური ერთეულები მოექცეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკის სახელწოდების ქვეშ (საგანი-სახვ. და გამოყენებითი ხელოვნება);
- 2.-კურიკულუმის დოკუმენტში სრულად აიასახოს სამივე თემატური ბლოკი (საგანი-სახვ. და გამოყენებითი ხელოვნება);
- 3.- კურიკულუმის დოკუმენტში სტანდარტიზირებულად და სტატიტუკარად ჩამოყალიბდეს შემადგენელი კომპონენტის/ების დასახელება, მაგალითად: „ძირითადი რესურს-მაგალითი“ ან „ძირითადი ქეისი“ (საგანი-მუსიკა);
- 4.- „სასწავლო რესურსების“ კომპონენტში აღიწეროს სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე რესურსის კონკრეტული ჩამონათვალი/დასახელება(მაგ. აუდიო მასალის ლინკი, ვიდეო ფაილის ლინკი , ბეჭდური მასალის სახელწოდება და ა.შ.);

უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია; სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ს. კარდენახის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირ ფორმატზე.

2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1}, დანართი №5^{2.1}):

უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია უცხოური ენების კათედრამ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების შესაბამისი შუალედური მიზნები (პირობა - პროდუქტი, საგნობრივი საკითხი) ცალკე ფაილად გაამზადოს და წინასწარ წარუდგინოს მოსწავლეებს ბარათის სახით, ასევე; დაურთოს კურიკულუმის პაკეტს უცხოურ ენებში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევები:

-რომ, შემუშავებულ კურიკულუმებში საგნობრივ კათედრებზე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა) გამოიკვეთოს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელი ყველა სამიზნე ცნება. ასევე, ყოველ თემასთან მიმართებით შესაბამისად გაიწეროს დასამუშავებელი საკითხი/საკითხები.

-რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საგნობრივი საკითხების დამუშავების პროცესში, ყველა საგანში იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.

3. ინდიკატორი შეესაბამება შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1}, დანართი №5^{2.1}):

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევები:

-რომ მოხდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო რესურსებით სასწავლო პროცესის სრულფასოვნად ჩატარებისთვის;

-რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საგნობრივი საკითხების დამუშავების პროცესში, ყველა საგანში იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივ კურიკულუმებში (ზოგიერთ მათგანში) თავიდან გადაიხედოს შუალედური დავალების პირობის შინაარსი და განისაზღვროს რამდენად არის კომპლექსური ბუნების ესა თუ ის დავალება და რამდენად იძლევა შეძენილი ცოდნის ტრანსფერს დავალების პირობის თანახმად შესასრულებელ შემოქმედებით პროდუქტში(საგნები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა);

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია მასწავლებლებმა მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებები და თავისებურებები, ასევე მოსწავლეებმა შესაძლებლობების ფარგლებში თვითონ შექმნან რესურსები.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ წარმოადგენილი ინვენტარის გარდა, სკოლამ სასურველია შეიძინოს უფრო მეტი ინვენტარი, რათა ბავშვები მაქსიმალურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში და ერთმანეთის ლოდინში დრო არ დაიკარგოს.

4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1}, დანართი №5^{2.1}):

უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: კათედრამ წარმოადგინა მე-5 კლასის ისგ, რომელშიც გრძელვადიანი მიზნები და მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონეა აღწერილი, სასურველია; სსსმ მოსწავლისათვის მისაწოდებელი კომპლექსური ბუნების დავალებებიც ახლდეს კურიკულუმს უცხოურ ენებში.

5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1}, დანართი №5^{2.1}):

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი სტანდარტით დადგენილი და საგნის სპეციფიკით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს შეფასებისას (განმსაზღვრელი, განმავითარებელი):

1.-მკაფიოდ გამოიკვეთოს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე დამიზნებული კრიტერიუმები და მოსწავლისთვის გასაგებად ჩამოყალიბდეს კრიტერიუმის/ების შინაარსი(რა უნდა შეძლოს/წარმოაჩინოს მოსწავლემ კონკრეტულ ნამუშევარში ან ნამუშევარზე მსჯელობის დროს);

2.-გადაიხედოს წონადი(შემაჯამებელი) დავალების ფორმის, კონტენტისა და შეფასების კრიტერიუმების კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან, საგნის სტანდარტთან და სასკოლო კურიკულუმში გაცხადებულ მიზნებთან(საგანი: მუსიკა; კლასი: VI; შემაჯამებელი დავალების ნიმუში);

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: რომ შეფასების რუბრიკები უფრო მეტად მოერგოს სასწავლო თემებს და გათვალისწინებულ იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები.

ფიზიკური აღზრისა და სპორტის ექსპერტის მხრიდან პედაგოგს მიერჩა რჩევა, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დიაგნოსტიკების და ანალიზის მასალები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ბიბლიოთეკის დებულება;

- დარბაზის მოთხოვნის დოკუმენტი;
- ლაბორატორიის მოთხოვნის წერილი;
- სკოლაში არსებული ლაბორატორიები;
- გარე მოედნის ფოტოები;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- ინვენტარის/რესურსების ფოტოები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});
2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{2.1});

3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1}, დანართი №5^{2.1}):

მათემატიკის ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია ყოველ კომპლექსურ დავალებას თან ახლდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც კონკრეტულად ამ დავალებაზე იქნება მორგებული

4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{2.1}):

5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{2.1}):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები/რესურსები;
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- ვერიფიკაციის მექანიზმის ბრძანება;
- ვერიფიკაციის მექანიზმების დაცვაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ბრძანება;
- შეფასების მასალები;
- მასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსია კათედრების შემაჯამებელ ოქმებში/ანგარიშებში წარმოდგენილი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;
- გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია, უკუკავშირი;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;
- საფეხურის კურიკულუმი;
- ეკო კლუბის მუშაობა;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შეესაბამება შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});
2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});
3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1});
4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5^{1.1}, დანართი №5^{2.1}).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროექტები;
- კურიკულუმი;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები/მასალები/აქტივობები;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები;
- რესურსოთახის ფოტომასალა;
- მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსები;
- სპორტული მოედნის ფოტოები;
- მასწავლებლების პირადი საქმეები;
- მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 1.1);
2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 1.1);
3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას (დანართი №5 1.1).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმი;

- კათედრის სამუშაოს შემაჯამებელი ოქმები/ანგარიში (განხორციელებული შეფასების ანალიზი);
